საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

(I კვარტალი, 2023)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

გამოცემა 21 | 09.03.2023

Research

„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით.

პროექტში საქართველოდან 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2023 წლის თებერვალში.

მთავარი მიგნებები

2023 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის **მთავარი მიგნებებია**:

- ქართველი ეკონომისტები პოზიტიურად აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას.
- თუმცა მათი მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ უარყოფითია.
- 2023 წლის რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი საშუალოდ 5.5%-ს შეადგენს.
- ეკონომისტები მოელიან რომ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში ინფლაცია შემცირდება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.
- 2023 წლის ინფლაციის პროგნოზი, საშუალოდ, 6.6%-ია.
- გამოკითხულ ეკონომისტთა თითქმის 83% ფიქრობს, რომ რუსეთის ომი უკრაინაში ამჟამად მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისთვის. ამავდროულად, უნარების შეუსაბამობა ეკონომისტთა უმეტესობამ (44%) შეაფასა, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი საფრთხე.
- გამოკითხულ ეკონომისტთა მხოლოდ 17% აფასებს დადებითად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაში იქნება (ამჟამინდელი გეგმის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში იქნება პორტის 51%-ს, დანარჩენი კი უცხოელ პარტნიორებს გადაეცემათ ტენდერის გზით). გამოკითხულთა 28% კი გადაწყვეტილებას უარყოფითად ან ძალიან უარყოფითად აფასებს.
- გამოკითხულთა მესამედი (33%) ფიქრობს, რომ „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“ ნაწილობრივ პასუხობს საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს. არც ერთი რესპონდენტი არ ფიქრობს, რომ სტრატეგია პრობლემებს სრულად პასუხობს.
- საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ ევროკომისიის ანალიტიკური ანგარიშის გაცნობის შემდეგ, გამოკითხულ ეკონომისტთა უმეტესობა (75%) ფიქრობს, რომ გარემოს და კლიმატის პოლიტიკის გაუმჯობესება ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნება რთული ან ძალიან რთული.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, I კვარტალი 2023



- ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის თანახმად, 2023 წლის პირველ კვარტალში ქართველი ეკონომისტები დადებითად აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას. მათი შეფასება ოდნავ გაუარესდა 2022 წლის მეოთხე კვარტლის დადებით შეფასებასთან შედარებით, მაგრამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2022 წლის პირველი კვარტლის ნეგატიურ შეფასებასთან შედარებით.

- გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ უარყოფითია. მოლოდინი ოდნავ გაუმჯობესდა იმ ნეგატიურ პროგნოზთან შედარებით, რომელიც ეკონომისტებს მომდევნო ექვსი თვის მიმართ ჰქონდათ 2022 წლის მეოთხე კვარტალში და საგრძნობლად გაუმჯობესდა 2022 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

მშპ-ს და ინფლაციის პროგნოზები და გაცვლითი კურსის შეფასებები

გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გააკეთეს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2023 წელს საშუალოდ 5.5%-ს შეადგენს.
- მომდევნო 6 თვის განმავლობაში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოსალოდნელია ინფლაციის კლება. 2023 წლისთვის ინფლაციის მოსალოდნელი მაჩვენებელი საშუალოდ 6.6%-ია.

ამჟამად ქართული ლარი:

- მეტად არის შეფასებული აშშ დოლარისა და ევროს მიმართ; და
- შესაბამის დონეზეა რუსული რუბლისა და თურქული ლირას მიმართ.

ვაჭრობის პროგნოზები

გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გააკეთეს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- უახლოეს ექვს თვეში მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- უახლოეს ექვს თვეში მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- მომდევნო ექვს თვეში გასულ ექვს თვესთან შედარებით მოსალოდნელია, რომ ექსპორტის მოცულობა გაიზარდოს იმავე ოდენობით, რამდენითაც იმპორტის მოცულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, მომდევნო ექვს თვეში სავაჭრო ბალანსი იმავე დონეზე დარჩება.



გამოკითხვის ფარგლებში ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს საქართველოს ეკონომიკისთვის ამჟამად არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეები.

- უნარების შეუსაბამობა ყველაზე მეტი რესპონდენტის (44%) მიერ შეფასდა, როგორც ძალიან მაღალი საფრთხე საქართველოს ეკონომიკისთვის. საერთო ჯამში, ეკონომისტების 83% ფიქრობს, რომ უნარების შეუსაბამობა ამჟამად წარმოადგენს ძალიან მაღალ ან მაღალ საფრთხეს ეკონომიკისთვის.
- თითქმის 83% ეკონომისტებისა რუსეთის ომს უკრაინაში მიიჩნევს მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხედ.
- ეკონომისტების უმეტესობა (61%) გაცვლითი კურსის მერყეობას ზომიერ საფრთხედ მიიჩნევს.
- განსხვავებული მოსაზრებები აღინიშნება საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მაღალი იმიგრაციის შესახებ. 50% მიიჩნევს, რომ ეს არის მაღალი ან ძალიან მაღალი საფრთხე საქართველოს ეკონომიკისთვის, ხოლო 50% მიიჩნევს, რომ დაბალი ან ზომიერი საფრთხეა.



ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALPM) კლასიფიცირებას ახდენს ხუთ კატეგორიად*. ეკონომისტებმა შეაფასეს, საქართველოში შრომის ბაზრის პრობლემების გადასაჭრელად რომელი პოლიტიკა იქნება ყველაზე ეფექტური.

- გამოკითხულ ეკონომისტთა 72% ფიქრობს, რომ ტრენინგები, სავარაუდოდ, ძალიან ეფექტური, ეფექტური ან ზომიერად ეფექტური გზაა შრომის ბაზრის პრობლემების გადასაჭრელად. ანალოგიურად, 54%-ს სჯერა ახალი ბიზნესების სტიმულირების ეფექტურობის.
- სამუშაო ადგილების პირდაპირ შექმნასა და დასაქმების სუბსიდირებას ეკონომისტების უმეტესობა მიიჩნევს არაეფექტურად ან ნაკლებად ეფექტურად შრომის ბაზრის პრობლემების აღმოსაფხვრელად. მხოლოდ 11% ფიქრობს, რომ სამუშაო ადგილების პირდაპირი შექმნა ძალიან ეფექტური იქნება.
- დასაქმების საჯარო სერვისებზე უფრო მრავალმხრივი შეხედულება არსებობს: 50% მიიჩნევს, რომ ის არაეფექტური ან არის ნაკლებად ეფექტურია, ხოლო 39% მიიჩნევს, რომ ის ზომიერად ეფექტური ან ეფექტურია.

დასაქმების სუბსიდიები - ფინანსური წახალისების უზრუნველყოფა (პირდაპირი ტრანსფერების ან საგადასახადო კრედიტების სახით) ფირმებისთვის, რათა მათ შეინარჩუნონ არსებული სამუშაო ადგილები ან შექმნან ახალი.
სამუშაო ადგილების პირდაპირი შექმნა - დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, როგორც წესი, სოციალურად სასარგებლო დროებითი პროცესია და მას არასაბაზრო ხასიათი აქვს. იგი მიზნად ისახავს შემოსავლის წყაროს შექმნას გრძელვადიანი უმუშევრებისთვის ან ისეთი ადამიანებისათვის, რომლებიც ძნელად პოულობენ სამსახურს.
დასაქმების საჯარო სერვისები (PES) - აძლიერებს სამუშაოს პოვნის პროცესს უმუშევარ პირთათვის სამუშაოს ძიების დროს დახმარებით, კონსულტაციისა და შუამავლობის გზით.
ახალი ბიზნესების სტიმულირება - თვითდასაქმების სტიმულირება ან ინდივიდების სტიმულირება, რომ მათ წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი, სესხების, გრანტებისა და საკონსულტაციო სერვისების მიწოდებით.
ტრენინგი - უმუშევარი პირების დასაქმების ხელშეწყობა უნარების განვითარების გზით.
წყარო: https://www.ilo.org/legacy/english/intserv/working-papers/wp078/index.html#ID0EOIAC



* *წყარო:* https://www.gov.ge/news/350081?page=&year=

საქართველოს მთავრობამ 2022 წლის ბოლოს განაცხადა, რომ მთავრობის მონაწილეობით შემუშავდება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტი - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი.* კერძოდ, დაგეგმილია, რომ პორტის 51% სახელმწიფოს საკუთრებაში იქნება, ხოლო მეორე ნაწილი ტენდერით საერთაშორისო პარტნიორებს გადაეცემა. შესაბამისად, ეკონომისტებმა ეს გადაწყვეტილება შეაფასეს.

- უმეტესობა რესპონდენტებისა (39%) არ არის დარწმუნებული როგორ შეაფასოს ეს გადაწყვეტილება.
- ტოლია წილი იმ ეკონომისტებისა (17%), ვინც გადაწყვეტილებას დადებითად ან უარყოფითად აფასებს. აღსანიშნავია რომ, რომ არცერთი გამოკითხული ეკონომისტი არ აფასებს გადაწყვეტილებას ძალიან დადებითად, 11% კი მას ძალიან უარყოფითად აფასებს.



ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს, რამდენად პასუხობს „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგიაში“ დასახული სტრატეგიული გეგმები და მიზნები ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს.

- გამოკითხულთა უმეტესობა (33%) ფიქრობს, რომ ის ნაწილობრივ პასუხობს საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს.
- ამას მოსდევს 22% ეკონომისტებისა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ის მინიმალურად პასუხობს ქვეყნის სირთულეებსა და პრობლემებს.
- არც ერთი რესპონდენტი არ ფიქრობს, რომ სტრატეგია სრულად პასუხობს არსებულ გამოწვევებს, ხოლო 6% ფიქრობს, რომ ის საერთოდ არ პასუხობს გამოწვევებს.

* *წყარო:* https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf



ევროკომისიამ გამოაქვეყნა დასკვნები საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.* ეს ანალიტიკური კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა 2023 წლის 2 თებერვალს, ასახავს კომისიის მოსაზრებებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის შესახებ. საქართველო შეფასებულია, როგორც მზადყოფნის ადრეულ ეტაპზე მყოფი ექვს სფეროში. ეკონომისტებმა შეაფასეს რამდენად რთული იქნებოდა ამ სფეროებში რეფორმების განხორციელება ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

- გამოკითხულ ეკონომისტთა უმეტესობა (75%) თვლის, რომ გარემოს და კლიმატის პოლიტიკის გაუმჯობესება ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნება გარკვეულწილად ან ძალიან რთული.
- რესპონდენტთა 57% მიიჩნევს, რომ ფინანსური და საბიუჯეტო დებულებები არ არის რთული ან გარკვეულწილად არ არის რთული.
- გამოკითხულთა 32% მიიჩნევს, რომ მუშახელის თავისუფალი გადაადგილება არ არის რთული, ან გარკვეულწილად არ არის რთული. მაშინ როცა 26%-ს მიაჩნია, რომ ეს გარკვეულწილად ან ძალიან რთული პროცესია.

** ევროკომისიის ანალიტიკური ანგარიში საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/commission-analytical-report-georgias-alignment-eu-acquis_en*

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში

	2019	2020	2021	2022 Q1	2022 Q2	2022 Q3	2022 Q4
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7	15 842.9	18 629.4	4 597.5*	5 870.4*	6 829.9*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 255.7	5 023.2	1 246.4*	1 591.5*	1 851.6*	-
მშპ რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.8%	10.5%	15%*	7.2%*	9.8%*	-
ინფლაცია	4.9%	5.2%	11.8%	13.2%	13.0%	11.3%	10.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 352.2	589.0	1 241.8	576.9*	353.4*	745.3*	-
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	19.4%	18.1%	15.6%	16.1%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	8 205	8 082	7 784	7 182	7 982
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.1%	19.7%	18.9%	-	-	-	-

* წინასწარი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი
უმცროსი მკვლევარი
a.chkhenkeli@pmcginternational.com

დალი წაქაძე
კვლევითი ასისტენტი
d.tsakadze@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org